

# სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი



## სტრატეგიული გეგმა 2015 - 2020 წწ.

(2015-2016 წლის სამოქმედო გეგმა)

## **შინაარსი**

ორგანიზაციის შესახებ.....	3
ორგანიზაციის მისია.....	3
ორგანიზაციის ხედვა და ღირებულებები.....	4
კოლეჯის მიზნები.....	4
1. პროფესიული პროგრამები.....	5
2. მატერიალური რესურსი.....	6
3. ადამიანური რესურსი.....	7
4. სტუდენტები.....	7
5. კერძო სექტორთან თანამშრომლობა.....	8
6. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.....	9
7. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.....	10
SWOT ანალიზი.....	11
სამოქმედო გეგმა 08. 2015 - 08.2016.....	12

*"მამულის გაკეთება და ნივთიერის ცხოვრების წინ წასვლა შეიძლება მხოლოდ წერა-კითხვის, სოფლის სამეურნეო და სახელოსნო ცოდნის გავრცელებით მცხოვრებთა შორის,"*  
ილია წინამძღვრიშვილი

## ორგანიზაციის შესახებ

1883 წლის 4 სექტემბერს ილია წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით წინამძღვრიანთკარში გაიხსნა პირველი სასოფლო - სამეურნეო სკოლა. 1924 წელს სკოლას დაემატა სპეციალური კლასი და სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი დაერქვა, 1928 წლიდან ეწოდა - წინამძღვრიანთკარის ცენტრალური საცდელ - საჩვენებელი სასოფლო - სამეურნეო სასწავლებელი. 1933 წლიდან სასწავლებელს ეწოდა სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი. 1966 წლიდან იწოდება წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის სახელობის საბაზო სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი.

1993 წლიდან სასწავლებელი გადაკეთდა, როგორც წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ - ეკოლოგიურ კოლეჯი, ხოლო 2008 წლიდან ორი სასწავლებლის რეორგანიზაციის ( მცხეთის პროფესიული ლიცეუმის და წინამძღვრიანთკარის ჰუმანიტარულ ეკოლოგიური კოლეჯის) შედეგად, ჩამოყალიბდა სსიპ წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის პროფესიული სწავლების ცენტრი. 2010 წელს მოხდა სასწავლებლის ლიკვიდაცია, 2014 წლის 17 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი.

## ორგანიზაციის მისია

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი , ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის, რითაც ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას.

ამისთვის კოლეჯი:

- ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს;

- ზრუნავს კადრების მუდმივ განვითარებაზე;
- ამყარებს კავშირებს კერძო სექტორთან და უცხოელ პარტნიორებთან;
- ხელს უწყობს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვას.

## ორგანიზაციის ხედვა და ღირებულებები

კოლეჯის მიზანია ჩამოყალიბდეს ლიდერ კოლეჯად კვალიფიციური კადრების მომზადების და კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით, რითაც ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

კოლეჯის ძირითადი მიმართულებად განისაზღვრება სოფლის მეურნეობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავება და მშენებლობა.

ღირებულებები

- თანამშრომლობითი გარემოს შექმნა
- გუნდური მუშაობა
- სწავლის თანაბარი ხელმისაწვდომობა
- საჯაროობა
- სიახლისადმი ღიაობა

## კოლეჯის მიზნები

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის მიზნებია :

ა) ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

ბ) ტრენინგ-კურსების განხორციელება, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.

მიზნის მისაღწევად, საზოგადოებრივი კოლეჯი:

ა) უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;

ბ) ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;

- გ) ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;
- დ) ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეცნიერო პარტნიორობას;
- ე) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
- ვ) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
- ზ) თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- თ) ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
- ი) ახორციელებს ტრენინგ-კურსებს, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;
- კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

## **1.პროფესიული პროგრამები**

სტრატეგიული მიზანი 1 - შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების /ჩარჩო დოკუმენტზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

ქვემიზნები :

- 1.1 შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიების შერჩევა
- 1.2 ავტორიზაციის სატანდარტებთან შესაბამისი პროგრამების მომზადება
- 1.3 პროგრამების მუდმივი შეფასება და გაუმჯობესება
- 1.4 ახალი პროგრამების შემუშავება და დამატება.

ამოცანები:

1. შრომის ბაზრის შესწავლა

2. კერძო სექტორის წარმომადგენლების ჩართვა პროგრამების შემუშავების პროცესში (რეკომენდაციების მიღება)
3. სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შემუშავება
4. პროგრამების ავტორიზაცია/აკრედიტაცია
5. პროგრამების შეფასება
6. პროგრამების გადახედვა/განახლება
7. ბაზრის მოთხოვნის შემთხვევაში ახალი პროგრამების შემუშავება

## 2.მატერიალური რესურსი

სტრატეგიული მიზანი 2 - სახელოსნოების და სასწავლო აუდიტორიების სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა.

ქვემიზნები:

- 2.1 ფინანსების მოძიება - მოზიდვა
- 2.2 შენობის რეაბილიტაციის გეგმის შედგენა/გადახედვა
- 2.3 შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა
- 2.4 პროგრამებისთვის აუცილებელი სახელოსნოების და სხვა მატერიალური რესურსის შექმნა/განახლება
- 2.5 ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სისტემების დანერგვა
- 2.6 ბიბლიოთეკის პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალებით მომარაგება და კატალოგიზაცია

ამოცანები:

1. პროგრამების ნუსხის შესაბამისი ლაბორატორიების დაგეგმვა
2. ფონდების მოძიება
3. ლაბორატორიების აღჭურვა
4. პანდუსების და ლიფტის მონტაჟი
5. უსაფრთხოების სისტემების მონტაჟი
6. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მონტაჟი
7. პროგრამების შესაბამისად საბიბლიოთეკო ფონდის შევსება
8. საბიბლიოთეკო ფონდის აღწერა , კატალოგიზაცია
9. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის შექმნა

### 3. ადამიანური რესურსი

სტრატეგიული მიზანი 3 - კვალიფიციური პერსონალის და სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მოზიდვა , მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

ქვემიზნები:

3.1 კოლეჯის პოპულარიზაცია კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით

3.2 საინტერესო და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა

3.3 თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

ამოცანები:

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება
2. კონკურსის გამოცხადება (ინფორმაციის გავრცელება ვაკანტური ადგილების შესახებ)
3. კანდიდატების შერჩევა
4. კანდიდატების ტრენინგი

### 4. სტუდენტები

სტრატეგიული მიზანი 4-სტუდენტების პროგრამებით დაინტერესება, მათ განვითარებაზე ზრუნვა.

ქვემიზნები:

4.1 სტუდენტების მოზიდვა

4.2 კლუბების ჩამოყალიბება

4.3 სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზებაში ხელშეწყობა

4.4 სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო პროცესის და კურსების გაუმჯობესების მიზნით

#### 4.5 ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.

ამოცანები:

1. კოლეჯის ცნობადობის გაზრდა
2. პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აბიტურიენტებისთვის (სკოლებში ვიზიტი, მოსწავლეების ვიზიტი კოლეჯში, ვიდეორგოლების მომზადება)
3. სტუდენტური კლუბების ჩამოყალიბების ხელშეწყობა/ორგანიზება
4. სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზება/ორგანიზებაში ხელშეწყობა
5. ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა
6. სტუდენტების ყოველწლიური გამოკითხვა პროგრამების და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

### 5. კერძო სექტორთან თანამშრომლობა

სტრატეგიული მიზანი 5 - კერძო სექტორთან თანამშრომლობა პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის და საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით.

ქვემიზნები:

- 5.1 შრომის ბაზრის კვლევა
- 5.2 პროგრამების შემუშავებაში დამსაქმებლების ჩართვა
- 5.3 საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით თანამშრომლობა
- 5.4 პროგრამების გასაუმჯობესებლად კომპანიების წარმომადგენლების გამოკითხვა
- 5.5 საუკეთესო გამოცდილების გაზიარება საწარმოების მხრიდან

ამოცანები:

1. შრომის ბაზრის კვლევის დაგეგმვა
2. კვლევის ორგანიზება
3. კვლევის შედეგების ანალიზი
4. დამსაქმებლებთან დაკავშირება და მათი დაინტერესება
5. საწარმოო პრაქტიკისთვის მემორანდუმების გაფორმება
6. სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე გაშვების ორგანიზება
7. სტუდენტების პრაქტიკული უნარების შეფასება
8. დამსაქმებლების მხრიდან პროგრამების და კოლეჯის შეფასება



## 9. შეფასების შედეგების ანალიზი და რეაგირება

### **6. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა**

სტრატეგიული მიზანი 6 - საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მოკლევადიანი პროგრამების განხორციელებაში დახმარების მიზნით, საზღვარგარეთის კოლეჯებთან თანამშრომლობა გამოცდილების გაზიარების და გაცვლითი პროგრამების ორგანიზების მიზნით.

ქვემიზნები:

- 6.1 მოკლევადიანი პროგრამების შემუშავება
- 6.2 საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესება
- 6.3 პროგრამების განხორციელება
- 6.4 პროგრამების შეფასება
- 6.5 საზღვარგარეთის კოლეჯებთან კონტაქტის დამყარება
- 6.6 გაცვლითი პროგრამების ორგანიზება

ამოცანები:

- 1. გადამზადების პროგრამების საჭიროების კვლევა
- 2. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება და პირობების შესწავლა
- 3. პროექტების შემუშავება
- 4. პროექტების განხორციელება
- 5. პროექტების შეფასება

### **7. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები**

სტრატეგიული მიზანი 7 - კოლეჯის ცნობადობის ზრდა და მართვის და სწავლების ეფექტურობის გაუმჯობესება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზით.

ქვემიზნები:

7.1 შიდა საკომუნიკაციო საშუალებების დანერგვა

7.2 დაინტერესებული მხარეებისთვის (აბიტურიენტი, მშობელი, დამსაქმებელი და ა.შ.) ინფორმაციის რეგულალური მიწოდება და კომუნიკაციის შესაძლებლობების სიმარტივე

7.3 ელექტრონული სწავლების კომპონენტის დანერგვა

ამოცანები:

1. ვებ - გვერდის შექმნა (დომენის რეგისტრაცია, ჰოსტინგის შეძენა, ვებ-გვერდის შემუშავება)
2. ინფორმაციის რეგულალური განახლება ვებგვერდზე
3. თანამშრომლებისთვის კორპორატიული ელ-ფოსტის შექმნა
4. კორპორატიული სატელეფონო მომსახურების შექმნა
5. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (Eflow) ჩართვა
6. Eflow-ს ტრენინგი თანამშრომლებისთვის
7. ელექტრონული სწავლების კომპონენტის ჩართვა სწავლა - სწავლების პროცესში.

## SWOT ანალიზი

<b>ძლიერი მხარეები:</b>	<b>სუსტი მხარეები:</b>
-------------------------	------------------------

<ul style="list-style-type: none"> <li>• რეგიონში ერთადერთი საზოგადოებრივი კოლეჯი;</li> <li>• რეგიონის საჭიროებებზე მორგებული პროფესიები;</li> <li>• ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი პროფესიული პროგრამები;</li> <li>• მოდულური პროგრამების დანერგვა;</li> <li>• საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი მინი საამქროები, ლაბორატორიები და სახელოსნოები;</li> <li>• საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის;</li> <li>• შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო;</li> <li>• დასაქმებისა და თვითდასაქმების მეტი შესაძლებლობა;</li> <li>• პროფესიული მომზადება და გადამზადება ნებისმიერი ასაკის შრომისუნარიანი ადამიანისათვის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;</li> <li>• საკანონდებლო ლაფსუსი, რომელიც ხელს უშლის ხელმძღვანელობას წარმართოს სასწავლებლების სამეწარმეო საქმიანობა</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები:</b></p>	<p><b>საფრთხეები</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ვაუჩერული დაფინანსება;</li> <li>• მოდულური პროგრამების დანერგვა.</li> <li>• კოლეჯის შესახებ ცნობადობის გაზრდა,</li> <li>• პროფესიული განათლების პოპულარიზაცია;</li> <li>• თანამედროვედ აღჭურვილი პრაქტიკის ობიექტების სიახლოვე;</li> <li>• დონორი ორგანიზაციების დაინტერესება და მხარდაჭერა;</li> <li>• მსგავსი პროფილის ევროპულ კოლეჯებთან თანამშრომლობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კერძო სექტორის პასიურობა;</li> <li>• კოლეჯების რაოდენობის ზრდა; ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილებები;</li> <li>• ბიუროკრატიული მექანიზმები;</li> <li>• აბიტურიენტთა მცირე რაოდენობა რეგიონში.</li> <li>• პოლიტიკური ფაქტორი</li> <li>• სახელმწიფო მხარდაჭერის შესუსტება;</li> <li>• საჭირო სპეციალობების განვითარების პრიორიტეტების უგულვებელყოფა;</li> <li>• პროექტების სიძვირის გამო დაფინანსების ჩავარდნა;</li> <li>• პროფესიებზე შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის იგნორირება;</li> <li>• მიგრაცია.</li> </ul>

## სამოქმედო გეგმა 08. 2015 - 08.2016

აქტივობა	განხორციელების ვადები	ჩართული მხარეები	შესრულები ს კონტროლი
<b>პროგრამები</b>			
მსგავსი პროგრამების განმახორციელებელ კოლეჯებთან თანამშრომლობა გამოცდილების გაზიარების მიზნით	აგვისტო 2015წ	კოლეჯი	დირექტორი , დირექტორი ს მოადგილე
პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ინფრატსრუქტურის განსაზღვრა	აგვისტო 2015წ	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კოლეჯი</li> <li>➤ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</li> <li>➤ ESIDA</li> </ul>	ხარისხის მენეჯერი, დირექტორი
ინფორმაციის მოძიება პროფესიულ სტანდარტებში მოსალოდნელ ცვლილებებთან და მოდულური პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებით	აგვისტო-დეკემბერი 2015წ	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კოლეჯი</li> <li>➤ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</li> </ul>	ხარისხის მენეჯერი
პროგრამების შემუშავება	აგვისტო 2015წ	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კოლეჯი</li> <li>➤ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (მოდულური პროგრამები)</li> <li>➤ UNDP (მოდულური</li> </ul>	ხარისხის მენეჯერი, დირექტორი ს მოადგილე დირექტორი

		პროგრამები)	
დამსაქმებლებთან დაკავშირება საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით	აგვისტო 2015წ	კოლეჯი კერძო სექტორი	დირექტორი ს მოადგილე, დირექტორი
<b>ავტორიზაციის მოსაპოვებლად საჭირო დოკუმენტაცია</b>			
შინაგანანესის შემუშავება	აგვისტო 2015წ	კოლეჯი	იურისტი დირექტორი
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შემუშავება	აგვისტო 2015წ	კოლეჯი	ხარისხის მენეჯრი, იურისტი
სასწავლო პროცესის შეფასების წესის შემუშავება	აგვისტო 2015წ	კოლეჯი	ხარისხის მენეჯრი, იურისტი
სახელოვნებო პროგრამებზე მიღების პროცედურის შემუშავება	აგვისტო 2015წ	კოლეჯი	ხარისხის მენეჯრი, იურისტი
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შემუშავება	აგვისტო 2015წ	კოლეჯი	ხარისხის მენეჯრი, იურისტი
<b>კომუნიკაცია და ბრენდინგი</b>			
კორპორატიული მეილების შექმნა	დეკემბერი 2015წ	კოლეჯი	დირექტორი ს მოადგილე
ვებგვერდის შექმნა	აგვისტო- სექტემბერი 2015წ	კოლეჯი	დირექტორი ს მოადგილე
Eflow სისტემაში ჩართვა	სექტემბერი- დეკემბერი 2015წ	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კოლეჯი</li> <li>➤ განათლების და მეცნიერების სამინისტრო</li> <li>➤ EMIS</li> </ul>	დირექტორი ს მოადგილე

თანამშრომლების ტრენინგი Eflow-ს გამოყენებისთვის	სექტემბერი -დეკემბერი 2015წ	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კოლეჯი</li> <li>➤ განათლების და მეცნიერების სამინისტრო</li> </ul>	დირექტორი ს მოადგილე
<b>კადრების შერჩევა</b>			
პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის ნუსხის და კვალიფიკაციების განსაზღვრა	აგვისტო 2015წ	კოლეჯი	ხარისხის მენეჯერი დირექტორი
კონკურსის გამოცხადება	აგვისტო 2015წ	კოლეჯი	დირექტორი
მასწავლებლების და პერსონალის შერჩევა	აგვისტო 2015წ	კოლეჯი	ხარისხის მენეჯერი დირექტორი
ხელშეკრულებების გაფორმება	აგვისტო-სექტემბერი 2015წ	კოლეჯი	დირექტორი იურისტი
მასწავლებლების ტრენინგი	აგვისტო -სექტემბერი 2015წ	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კოლეჯი</li> <li>➤ მასწავლებლის სახლი</li> <li>➤ UNDP</li> </ul>	
<b>დევნილების საკითხის მოგვარება</b>			
კომუნიკაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან	09.2015 - 03.2016		დირექტორი

შუამდგომლობის მიზნით			
კომუნიკაცია დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან დევნილთა კოლეჯის საერთო საცხოვრებელიდან გაყვანის მიზნით	09.2015 - 03.2016		დირექტორი
კომუნიკაცია ადგილობრივ თვითმმართველობასთან დევნილებისთვის ალტერნატიული ფართის მოძიებაში დასახმარებლად	09.2015 - 03.2016		დირექტორი
<b>ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი</b>			
საჭიროების შემთხვევაში შენობა - ნაგებობათა დემონტაჟი	სექტემბერი - დეკემბერი 2015წ		დირექტორი
კომუნიკაციების მიყვანა/გამართვა	აგვისტო - სექტემბერი 2015წ	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კოლეჯი</li> <li>➤ ადგილობრივი თვითმმართველობა</li> <li>➤ ენერგო - პრო ჯორჯია</li> <li>➤ სოკარ - ჯორჯია</li> </ul>	დირექტორი
ფერმის აშენება	09.2015 - 03.2016	კოლეჯი ESIDA	დირექტორი

ევაკუაციის გეგმის შემუშავება	აგვისტო 2015წ	კოლეჯი საგანგებო სიტუაციების სამსახური	დირექტორი
<b>"მუზეუმი"</b>			
კომუნიკაცია კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან კოლეჯის ისტორიული შენობის სტატუსთან დაკავშირებით	08.2015-05.2016	კოლეჯი	დირექტორი
მუზეუმის რეაბილიტაციის გეგმის მომზადება	06.2016		დირექტორი
მუზეუმის რეაბილიტაცია	07.2016-08.2016		დირექტორი
<b>მუნიციპალური ტრანსპორტი</b>			
მუნიციპალური ტრანსპორტის მარშუტში კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიის მოქცევა	სექტემბერი -დეკემბერი 2015წ	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კოლეჯი</li> <li>➤ ადგილობრივი თვითმმართველობა</li> <li>➤ სატრანსპორტო კომპანია</li> </ul>	დირექტორი